ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2564537

ნომერი: AR1395578

თარიღი : 12.04.2016

გაცემის თარიღი : 26.04.2016

გაცნობის თარიღი : 26.04.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გუდიაშვილი , N 3 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახაბერ დეკანოიძე პ/ნ 01008022301
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 75 კორ. 8 ბ. 33

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 04.02.2016წ. N2414101 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის

სამსახურს 12/04/2016წ. AR1395578 განაცხადით მომართა კახაბერ დეკანოიძემ და მოითხოვა ტექნიკური შეცდომის გასწორება ამავე სამსახურის 04.02.2016წ. N2414101 ბრძანებით შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციაში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 04.02.2016წ. N2414101 ბრძანებით, ქალაქ თბილისში (სექტორი - მთაწმინდა), გუდიაშვილის ქუჩა N3–ში, შპს „სიტი ემ"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის (სასტუმრო, მუზეუმი, ოფისები) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 04.02.2016წ. N2414101 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის გეგმებზე, შტამპებში, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები (სასტუმროსა და მუზეუმის ფართობები) დატანილი იქნა შეცდომით. დაშვებული შეცდომების გამოსწორების მიზნით, განსახილველი განაცხადით, წარმოდგენილი იქნა ობიექტის გეგმები, შტამპებში გასწორებული მაჩვენებლების დატანით და მოთხოვნილი იქნა შეთანხმებული გეგმების ჩანაცვლება წარმოდგენილი გეგმებით.

სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ სამსახურის 04.02.2016წ. N2414101 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის გეგმებზე, განმცხადებლის განმარტების შესაბამისად, შტამპებში, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები დატანილია შეცდომით, ამასთან, განსახილველი განაცხადის მეშვეობით წარმოდგენილი გეგმების შტამპებში დატანილი გასწორებული მაჩვენებლები შესაბამისობაშია შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და სამსახურის 04.02.2016წ. N2414101 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის გეგმებზე, შტამპებში, შეცდომით დატანილი მაჩვენებლების გასწორების მიზნით, 04.02.2016წ. N2414101 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების PDF ფაილი ჩაანაცვლოს განსახილველი განაცხადით წარმოდგენილი გეგმებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 04.02.2016წ. N2414101 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების შტამპებში დატანილ მაჩვენებლებში და 04.02.2016წ. N2414101 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების PDF ფაილი ჩანაცვლდეს 12/04/2016წ. AR1395578 განაცხადით წარმოდგენილი გეგმებით.

2. ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 04.02.2016წ. N2414101 ბრძანებასთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.